პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 28 ივნისი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 143 (841) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

ორშაბათს, ა. წ. 29 ივნისს, საღამოს 6 საათზე ტფილისის ალმასკომის დარბაზში მოწვეულია ტფილისის ალმასკომ ს პლენუმის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1. კოჯორის რკინის გზის შესახებ.
2. ზემო—ავჭალის ჰიდრო-—ელექტრონის სადგურის წინა ნაწილთან—ამხ. ვ. ი. ლენინის ძეგლის აგების შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

## „წიგნის კვირეულისათვის“.

5 ივლისიდან დაიწყება „წიგნის კვირეული“. ამ კამპანიას ჩვენი ჯარის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. მან ფართედ უნდა გააღვიძოს წითელ-არმიელთა ინტერესი წიგნისადმი და ერთი ორად უნდა გაზარდოს მკითხველთა რიცხვი წითელ ყაზარმაში.

ჩვენი ნაწილების ბიბლიოთეკებმა დღემდი ვერ შესძლეს ფართე წითელ-არმიელთა მასის დაპყრობა, მათი მიზიდვა წიგნისაკენ. ეს კი ძირითადი ამოცანაა ნაწილის ბიბლიოთეკების. წიგნი უდიდესი იარაღია ცოდნის და განვითარების. ის კულტურულად ამაღლებს წითელ-არმიელს, ამუშავებს მასში საზოგადოებრივ აზრს, უღვიძებს კრიტიკის უნარს და სხვა. ყოველივე ამით კი ხელს უწყობს წითელ-არმიელის საბრძოლო უნარის ზრდას, შეგნებული დისციპლინის გაღრმავებას და აქედან მთელი წითელი არმიის განმტკიცებას.

მაგრამ, სამწუხაროდ როგორც აღვნიშნეთ არა ყველა წითელ-არმიელები არიან გაცნობილი წიგნის და ბიბლიოთეკის მნიშვნელობას, არა ყველას ესმის ასეთების დანიშნულება და როლი, არა ყველა ისინი არიან ნაწილის სამკითხველო-ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები.

„წიგნის კვირეული“-ს ამოცანასაც სწორედ ამ ნაკლულევანებების აღმოფხვრა შეადგენს.

100 პროც წითელ-არმიელების ბიბლიოთეკებში მიზიდვა, მათთვის წიგნის მნიშვნელობის და სარგებლობის დაწვრილებით გაცნობა, ნაწილის ბიბლიოთეკის სათანადო სიმაღლეზე დაყენება და მისი მუშაობის არმიის პოლიტიკურ და სამხედრო მომზადებასთან დაკავშირება—აი ამ კამპანიის ძირითადი ამოცანები.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილ ამოცანებისა საჭიროა ფართედ აეხსნას წიგნის მნიშვნელობა სოფელში შემოდგომაზე უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელებს, რომ სახლში დაბრუნებისას ისინმა თავის მხრივ ხელი შეუწყონ სოფლის კულტურულად ამაღლებას წიგნის მნიშვნელობის აგიტაცია-პროპაგანდით.

ასეთია საერთოდ „წიგნის კვირეული“-ს მიზანი წითელ არმიაში. ყოველივე ზემოთ მოყვანილ ამოცანის ერთ კვირაში გაკეთება რასაკვირველია შეუძლებელია. „წიგნის კვირეულს“ შეუძლია მხოლოდ ამ მხრივ ფართედ გაუკაფოს გზა ამ ამოცანების შესრულებას. ეს კი დამოკიდებულია იმისგან თუ რამდენათ ენერგიულად და შინაარსიანად ჩაატარებს მას ესა თუ ის ნაწილი.

ამიტომაც ამ კამპანიის სათანადოთ ჩატარებას ენერგიულად უნდა შეუდგეს მთელი ნაწილის შემადგენლობა დაწყებული უფროს მეთაურთა და პოლიტშემადგენლობით და გათავებული აქტიური წითელ-არმიელებით, რომლებსაც ბევრის გაკეთება შეუძლიათ ამ მხრივ.

„წიგნის კვირეული“ უნდა გატარდეს რაც შეიძლება მეტის ნაყოფიერობით და წარმატებით.

## ახალი რადიო-ამბები

### ჩინეთის ამბები.

#### უცხოელებს იცავს საზღვაო ძალები.

კანტონიდან მიღებულ ცნობებით ჩინეთის ჯარები ჯგუფდებიან უცხოელთა კვარტალების მახლობლად. უცხოელთა საზღვაო ძალების მიერ მიღებულია ზომები უცხოელთა დასაცავად.

#### გონკონგში შესწყდა ნაოსნობა.

გონკონგში გაიფიცა დეპეშების დამტარებელი ჩინელები. ნავთსადგურის გაფიცვებს შეუერთდა ხომალდის მტვირთავები და საბაჟოს გადასახადთა ამკრებნი. ნაოსნობა შეფერხებულია.

### საფრანგეთის მეზღვაურები კანტონში.

ახალგაზრდათა კომინტერნის ალმასკომთან მყოფ საფრანგეთის ახკომკავშირის წარმომადგენლებმა გაუგზავნეს კანტონში საფრანგეთის მეზღვაურებს შემდეგი დეპეშა: „ჩინეთის მშრომელები იბრძვიან თვისუფლებისთვის. ნუ ესვრით მათ. ამხ. მეზღვაურებო! თქვენ ყველა მუშები და გლეხები ხართ: ჩინეთის მშრომელები—თქვენი კლასობრივი ძმებია. დაუძმობილდით მათ!“

### უნგრეთის მუშათა პარტია.

**შემთანხმებელთა წინააღმდეგ.**

უნგრეთის სოციალისტურმა პარტიამ, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც წარმოიშვა, 25 ივნისს გამართა ბუდაპეშტში მიტინგი. მიუხედავად პოლიციის წინააღმდეგობისა მიტინგზე თავი მოიყარა დიდძალმა მუშებმა. გაიმართა დემონსტრაცია სოციალ დემოკრატიულ პარტიის შემთანხმებელ ცეკას წინააღმდეგ. პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები და დააპატიმრა რამოდენიმე კაცი.

დანიშნულია გამოძიება ორგანიზატორების წინააღმდეგ.

### ამხ. კერჟენცევი იტალიაში.



ამხ. კერჟენცევი

სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იტალიაში. კერჟენცევმა იმოგზაურა ჩრდილოეთ იტალიაში მსხვილ სამრეწველოების დასათვალიერებლად. მილანში კერჟენცევმა დაათვალიერა მთელი რიგი სარეწავ დაწესებულებათა. იტალიის მრეწველთა კავშირმა გაუმართა კერჟენცევს საზეიმო შეხვედრა. ტურინში კერჟენცევმა ინახულა ფიატის საავტომობილო და ქიმიური ქარხნები.

### ბურჟუაზიული მართლმსაჯულება.

**წინასწარი განაჩენი.**

24 ივნისს ბუქარესტის სამხედრო სასამართლოში გაირჩა 16 გაქცეულ ბრალდებულ კომუნისტების საქმე.

სასამართლომ ათ-ათი წლის ციხე გადაუწყვიტა მათ.

**სიკვდილით დასჯა.**

ფილიპპოპოლის სამხედრო სასამართლომ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის სიკვდილი მიუსაჯა 5 კაცს, მათ რიცხვში ერთ ქალს. ერთ ბრალდებულს მიუსაჯეს სამუდამო ციხე, დანარჩენებს სხვა და სხვა ვადით დაპატიმრება.

**უწლოვანთა გასამართლება.**

სოფიის სამხედრო სასამართლომ 30 უწლოვან კომკავშირელს, რომელთა შორის ქალებიცაა, მიუსაჯა ციხე სხვა და სხვა ვადით—ერთი წლიდან 15 წლამდი.

## რას ამტკიცებს ბურჟუაზია და რას გვეუბნება სინამდვილე.

იმპერიალისტური ბურჟუაზია დღეს ყოველ გზა ჯვარედინზე გაჰყვირის ბოლშევიკურ ძალადობის შესახებ. მისი გაზეთების ფურცლებს არ შორდება გოდება იმის შესახებ, რომ მიზეზი ყოველგვარ აჯანყების—იქნება ეს იმპერიალისტურ სახელმწიფოს შიგნით, თუ გარეთ კოლონიებში,—მისი მტკიცებით არის საბჭოთა ხელისუფლება და ბოლშევიკური პარტია.

ალსდგა გაწამებული, მრავალი წლობით დაჩაგრული ჩინეთი უცხოეთის ბატონობის წინააღმდეგ—ბურჟუაზია ყვირის: „ჩინელები ააჯანყეს ბოლშევიკებმა და საბჭოთა ხელისუფლებამ“!

ალსდგა თავისი უფლებების და დამოუკიდებლობის დასაცავად გმირული რიფების რესპუბლიკა—აქაც ბურჟუაზია აცხადებს, რომ—„რიფები ააჯანყეს ზინოვიევმა და კომინტერნმა“!

იფეთქა თეთრი ტერორით სასოწარკვეთილებამდე მიყვანილ ბულგარეთის მუშების და გლეხების უკმაყოფილებამ-აქაც დამნაშავეთ ბურჟუაზია ღიარებს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს და კომპარტიას!

ერთი სიტყვით სადაც კი იფეთქებს ჩაგრულთა შურისძიება მოძალადეების წინააღმდეგ ყველგან ამის მიზეზად ბურჟუაზია სთვლის საბჭოთა კავშირს და კომინტერნს.

ამის დასამტკიცებლად კაპიტალისტური მთავრობები არავითარ საშუალებას არ ზოგავენ და ერთი მეორეს ასწრობენ ყალბი საბუთების დამზადებაში.

თუ რამდენათ მიაღწია ბურჟუაზიამ მიზანს ამ ყალბი საბუთებით ეს ყველამ კარგათ იცის.

მაგრამ მივმართოთ სინამდვილეს და გავსაჯოთ; მართლადაც ვერევით ჩვენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების შინაურ საქმეებში, თუ ბურჟუაზია ერევა ჩვენ საქმეში და სცდილობს ჩვენი სახელმწიფოს დანგრევას?

აი დღეს მოსკოვში ასამართლებენ სამ ახალგაზრდა გერმანელ ფაშისტს, რომლებმაც განიზრახეს ამხ. სტალინის და ტროცკის მოკვლა. თუმცა ჯერ სასამართლო პროცესი არ დამთავრებულა, მაგრამ მისი პირველი სხდომები სავსებით ფარდას ხდიან ბურჟუაზიული ჯაშუშების შავ მოღვაწეობას. აქედან ჩვენ ვტყობილობთ თუ რა ფართე ფარგლებში აწყობდა იმპერიალისტური ბურჟუაზია მუშურ-გლეხური სახელმწიფოს აფეთქებას. აი მართლადაც სად შეგვიძლია ვილაპარაკოთ სხვისი აქმეებში ჩარევაზე. ბრალდებულ დიტმარის ჩვენება ეს ხომ ზინოვიევის ყალბი წერილი არაა. ეს ნამდვილი ცოცხალი საბუთია იმის, თუ როგორ მტაცებლური ბურჟუაზია იმ დროს, როცა ის გაჰყვირის ჩვენ ძალადობაზე, თვით უხეშად ერევა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს საქმეებში და აპირებს ძირი გამოუთხაროს მას, სწორედ ამიტომ ყვირის ბურჟუაზია ჩვენს ძალადობაზე, სწორედ ამიტომ თხზავს ის ათობით და ასობით „ზინოვიევის წერილებს“. მაგრამ ფონი გასავალს დალოცოს. საბჭოთა ხელისუფლებამ კარგათ იცის ბურჟუაზიის საზიზღარი ბუნება, ფხიზლად უთვალთვალებს მის საქმიანობას და კიდეც დროზე უღებს მას ბოლოს. რამდენი ჯაშუშების ორგანიზაცია იქმნა გამოაშკარავებული ამ ბოლო ხანებში! მსოფლიო ბურჟუაზია თავგამოდებით ებრძვის საბჭოთა ქვეყანას. ის ყოველ საშვალებას ხმარობს თავისი საზიზღარი მიზნის მისაღწევად. ამიტომაც თითეული მუშა, გლეხი და წითელ არმიელი მხნედ და მტკიცედ უნდა იდგეს საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე.

განსაკუთრებით ეს გარემოება ერთ წუთს არ უნდა დაივიწყოს ჩვენმა წითელ არმიელმა. მან ფხიზლად უნდა ადევნოს თვალყური მტერს და თავისი გულმოდგინე მეცადინეობით სამხედრო საქმეში კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს წითელი ჯარის რიგები.

დე მტერმა ისიც იცოდეს, რომ ჩვენ იმდენად ძლიერი ვართ რომ ყოველთვის დავამსხვრევთ მას ცხვირს!

—ე.

## ტოკიო—მოსკოვი—პარიზის საჰაერო გადაფრენა



მფრინავები აბე და კავაუჩი—გადაფრენის მონაწილენი

# საბჭოთა კავშირში

## წითელ სამთო-მადნო მუშათა ყრილობა.

სამხრეთ უელსის სამთო-მადნო მუშათა ფედერაციის წლიურ ყრილობაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ 5 დღიან სამუშაო კვირას და გამოსთქვამენ აზრს კომპარტიის მუშათა პარტიაზე შეერთების შესახებ. რეზოლიუცია ესალმება ინგლის-რუსეთის მოქმედების კომიტეტსა და მის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო პროფკავშირთა მთლიანობის მიღწევისაკენ.

## მილოცვა რიზა-ხანს.

საბჭოთა კავშირის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარემ დზერჟინსკიმ გაუგზავნა სპარსეთში ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენელს დეპეშა თხოვნით—გადასცეს მილოცვა პრემიერ მინისტრ რიზა—ხანს ანძის აღმართვის გამო ქერმანშახის რადიო სადგურეზე.

დეპეშაში ხაზგასმულია, რომ რადიო სადგური ახალი თავდებია ორი მეზობელ ხალხის ეკონომიური დაახლოებისა და მშვიდობიან თანამშრომლობის.

## უჩვეულო ქარიშხალი.

სოფელ დიდი ოკის რაიონში, მესიაგუტოვის კანტონში ამოვარდა უჩვეულო ქარიშხალი.

ქარის ძალა იმდენად დიდი იყო, რომ ადამიანებს, იტაცებდა.

ერთმა გლეხმა—რომელიც მოყვანილი იქნა საავადმყოფოში განაცხადა, რომ მას მთელი ვერსის მანძილზე მიათრევდა ქარი და მანამ ვერ შეიკავა თავი, სანამ გზაზე დაგებულ ლიანდაგს არ ჩაეჭიდა. რამოდენიმე გლეხი დაიკარგა უგზო უკვლოდ.

## პურის ზედმეტი მარაგი.

უკრაინის ეკონომიურმა თათბირმა გამოარკვია რომ უკრაინაში დაგროვილია 275 მილიონ ფუთის პურის ზედმეტი მარაგი.

რომ შეკავებული იქნენ გლეხები პურის იაფად გასყიდვისაგან, თათბირმა მიიღო შესაფერი ზომები.

# პარტიული ცხოვრება.

## ჩვენი სკოლის კომუჯრედში.

### პირველი ქართ. ლეგიონი.

22 ივნისს შესდგა პირველი ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლის კომუჯრედის და ახკომკავშირის გაერთიანებული კრება. კრებას გასარჩევი ქონდა პარტიაში შესვლის მსურველ ამხანაგ წითელ არმიელების განცხადებები და უნდა მოესმინა მოხსენება ლენინის კუთხის მუშაობის შესახებ. იყო სხვა მიმდინარე საკითხებიც.

სულ კომუჯრედში შემოტანილი ჰქონდათ განცხადებები 9 ამხანაგს. მათ შორის სათანადო შეკითხვებისა და ბიოგრაფიული ცნობების გაცნობის შემდეგ ცლიძრა შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, შვიდი ამხანაგის პარტიაში მიღების შესახებ. ერთი ამხანაგი ვერ აღმოჩნდა პოლიტიკურად მომზადებული და დროებით არ იქნა მიღებული, ხოლო მეორე სამსახურის საქმეების გამო ვერ დაესწრო კრებას.

ლენინის კუთხის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კუთხის გამგის თანაშემწემ. მოხსენებაში აღნიშნული იქნა ყველა მიღწევები როგორც: კუთხის მოწყობა, გაზეთის სისტემატიურად გამოშვება, სათანადო ლიტერატურის თავის დროზე მიწოდება, ხმამაღალი კითხვის ნაყოფიერება, საუბრები, რომლებიც ყოველთვის შინაარსიანათ მიმდინარეობდენ და სხვა.

მიმდინარე საკითხებში განცხადებით გამოვიდა პარტკანდიდატი ამხ. დუმბაძე, რომელსაც პარტდისციპლინის დარღვევის გამო გაკიცხვა გამოუცხადა უჯრედმა. ამხ. არ ცნობდა თავს დამნაშავეთ.

კრებამ ამის შესახებ ერთხმად მიიღო წინადადება, რათა აღნიშნულმა ამხანაგმა წერილობით შეიტანოს განცხადება ამის შესახებ ბიურო-კოლექტივში, რომელიც გამოარკვევს საქმის ვითარებას. ამით დასრულდა გაერთიანებული კრება.

პარტკორი ა. დეისაძე.

## ლენინის სახელობის პრემიები სამეცნიერო შრომაზე.

ლენინის შეხედულებებთან დაახლოებულ სამეცნიერო მუშაობის წახალისების მიზნით—მეცნიერებისა და ცხოვრების მჭიდრო კავშირისათვის—საკავშირო კომისართა საბჭომ დაადგინა დააწესოს ფონდი მეცნიერულ შრომებზე ლენინის სახელობის პრემიის გასაცემად.

ყოველწლიურად გაცემულ პრემიის ჯამი კომისართა საბჭომ განსაზღვრა 10.000 მანეთით.

პრემიას მიიღებენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეების პრაქტიკული მნიშვნელობის ყველა დარგის მეცნიერული შრომები, რომლებიც კი დაწერილან ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

## ფასის დაკლება პურის ფქვილზე.

პურის მოსავლის კარგი პირის გამო, ამ უკანასკნელ თვის განმავლობაში „ხლებოპროდუქტმა“ მის მიერ გაცემულ ფქვილს ზოგიერთ ხარისხზე დაუკლო ფასები 12—16 პროც.

# სამხედრო საქმე

## რას ხედავს მოთვალთვალე თვითმფრინავიდან.

საძიებლად გაგზავნილი თვითმფრინავი დაფრინავს 1.200—1.500 მეტრის სიმაღლეზე, რათა მას არ ავნოს მტრის არტილერიამ. ამ სიმაღლიდან მფრინავი—მოთვალთვალე კარგად ხედავს ყველაფერს, რაც დედამიწაზე ხდება. გამჭვირვალ ჰაერში, განსაკუთრებით ზამთარში, კარგად მოსჩანს არამც თუ დიდი რაზმები, არამედ მეომრების ცალკე ჯგუფები, იარაღები, საბარგულეები, ღია ადვილებზე გამაგრებული პოზიციები და სხვა. თვითმფრინავი თუ რამოდენიმედ დაბლა დაიწევს, ის დაინახავს ცალკე ადამიანებსაც.

ყოველ ცალკე შემთხვევაში საჭიროების და მიხედვით თვითმფრინავი ხან დაბლა დაეშვება, ხან მაღლა აიწევს.

უნდა აღინიშნოს, რომ მინდვრებსა და ტყეებს შორის გზები ნათელ ზოლებად მოსჩანან და ამ გზებზე ჯარის ნაწილებისა და საბარგულეების მოძრაობა ადვილი შესამჩნევია.

მფრინავ-მოთვალთვალესათვის მეტად ძნელია შეამჩნიოს და დაიმახსოვროს, თუ რა კეთდება მტრის ზურგში. ამიტომ იხმარება ფოტოგრაფიული აპარატი, რომლის შემწეობით ჩვენთვის საინტერესო ადგილები გადმოიხატება. ხშირად რაიმე საგანი, მაგ. თივის ბულული, სახლის სახურავი ითქვიფება გარემოში, ვერ ამჩნევს მას მოთვალთვალე და არც გადაღის გადახატვის დროს. მაგრამ ამ საგნიდან ჩრდილი ადვილი შესამჩნევია. ჩრდილით შეიძლება გაარჩიო თუ რა საგანია ეს. მაგრამ ჩრდილს გარდა აპარატი კარგად იჭერს საგნების სწორ მოხაზულობას მაგალითად სანგრების, ბანაკების და სხვა.

ამ რიგად ჩრდილის ფორმისა და საგნების სწორი მოხაზულობის მიხედვით ადვილი გასარჩევია ამა თუ იმ უბნის ადგილმდებარეობაზე ყოველგვარი წვრილმანი საგანი.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შენიღბვას, რომელიც არა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ დაჰფარო ჰაერიდან მოთვალთვალისაგან შენი მოძრაობა და დაბანაკების ადგილი, არამედ უნდა მოატყუო მტერი, ე. ი. უნდა მოაჩვენო მას არა ის რაც ჩვენ გვაქვს ნამდვილად, არამედ ის, რის მოჩვენებაც ჩვენთვის ხელსაყრელია.

პ.

## ახკომკავშირელთა შორის.

23 ივნის პირველ ლეგიონში შესდგა, ლეგიონის და 9 იანვრის სახელობის ქარხნის კომკავშირის წარმომადგენლების გაერთიანებული კრება. კრება უმთავრესად ატარებდა ერთმანეთთან მჭიდროდ დაახლოებისა კავშირის ხასიათს. კრება გახსნა აღნიშნული ქარხნის კომკავშირის წარმომადგენელმა ამხ. გაბუნიამ. მანვე გააკეთა პირველი მოხსენება სამოქალაქო და სამხედრო ახკომკავშირის ორგანიზაციებს შორის კავშირის მნიშვნელობის შესახებ. ამხანაგმა უმთავრესად გაგვაცნო თავიანთი უჯრედის საქმიანობა ამ მოკლე ხნის განმავლობაში. მოხსენებაში ბევრი მიღწევები იქნა აღნიშნული, რასაც სიამოვნებით უსმენდით. ძისცეს მრავალი შეკითხვებიც.

შემდეგი მოხსენებით ლეგიონის კომკავშირის უჯრედის მუშაობაზე გამოვიდა კლუბის უფროსი. მან ვრცლად აღნიშნა კავშირის წევრების მუშაობა და მათი აქტიობა ასეულების ორგანიზაციებში.

კრებამ, ამ ორ ორგანიზაციებს შორის კავშირის უფრო მჭიდროთ გაბმის მიზნით, აირჩია კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს ერთმანეთთან საღამოების მოწყობის საქმეს. დასასრულ კიდევ გამოითქვა სურვილი ორივე მხარის მიერ რომ მეტი გულმოდგინებით მოეკიდათ ხელი ერთმანეთთან შეკავშირების საქმისთვის.

ლეგიონის ახკომკავშირელთა მთელი შემადგენლობა ძლიერ ასიამოვნა მათმა მოსვლამ. იმედია არც შემდეგში დაგვივიწყებენ ამხ. მუშები.

სანხკორი ვ. ჩაგელიშვილი.

# გამოღვიძებული ჩინეთი და იმპერიალიზმი.

ინგლისის რეაქციონური პრესა ამაოდ გაჰკივის ყოველ გზაჯვარედინზე იმის შესახებ, რომ ჩინეთი კვლავ საფრთხეს უქადის ევროპის ცივილიზაციას, როგორც 1900 წელში,—რომ „მოსკოვის აგენტების მიერ“ წაქეზებულ ჩინელებს მსხვერპლად სურთ „შესწირონ ბოლშევიკების კეთილდღეობას ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის ვაჭრები.“

იმპერიალისტებმა კარგად იციან რომ 1925 წლის ჩინეთი არა ჰგავს 1900 წ. ჩინეთსა და არც 1918 წლის ანტი-იაპონურ დროის ჩინეთს.

იმპერიალისტებისა და მანჯურიის დინასტიის მძიმე გადასახადებით ქანც-გაწყვეტილ ჩინეთის მუშებისა და ხელოსნების ბოქსერთა აჯანყება სტიქიურად წამოიჭრა 1900 წელში. შეუკავშირებელ და ბნელი მასების მოძრაობა გაიძვერულად იქნა გადატანილი მანჯურიელების მიერ მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის ხაზიდან უცხოელთა წინააღმდეგ.

მოძრაობის შეუკავშირებლობამ, სტიქიურობამ და სათანადო ხელმძღვანელობის უქონლობამ ხელი შეუწყო უცხოელებს შედარებით ადვილად ჩაექროთ აჯანყება.

1900 წელში იმპერიალისტები თანდათან გამაგრდენ ჩინეთში. ჩინეთმა ველარ დააკმაყოფილა ისინი, როგორც ნედლი მასალისა და თავისი საქონლის გამსაღებელმა ბაზარმა. იმათ დაიწყეს თავისი კაპიტალის შეზიდვა ჩინეთში, რათა გამოეყენებიათ ბუნების მდიდარი მარაგი, ჩინეთის მუშის იაფი შრომა და აეგოთ თავიანთი ფაბრიკა-ქარხნები.

უცხოელების ფაბრიკებთან ერთად გამოჩნდენ ევროპიელ ყაიდაზე მოწყობილი ჩინეთის სამრეწველო დაწესებულებებიც.

ჩინეთში წარმოიშვა საკუთარი ბურჟუაზია და ევროპიულად განათლებული ინტელიგენცია. იმპერიალიზმის ქსელმა ხელი შეუშალა ჩინეთის ბურჟუაზიის განვითარებას. იაპონია, რომელმაც ისარგებლა ომით რომ გაეძლიერებია ჩინეთში თავისი გავლენა, განსაკუთრებით უშლიდა ხელს ჩინეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიასა და ბურჟუაზიულ ინტელიგენციას. იაპონიის დაპყრობითი ზრახვები თანდათან იწვევდენ წვრილ ბურჟუაზიულ წრეებში უკმაყოფილებას, რომელიც 1918 წლის ზაფხულზე გამოიხატა გრანდიოზულ ანტი-იაპონურ ბოიკოტის დემონსტრაციაში. წვრილ ბურჟუაზიის ტაქტიკა, რომელიც ნაწილობრ შებოჭილია უცხოელ კაპიტალისტების მიერ, განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებიც არსებობენ ჩინეთის საგარეო ვაჭრობის ხარჯზე,—მიდრეკილება უცხოელთა იმპერიალიზმთან შერიგებისაკენ,—წვრილ—ბურჟუაზიული და ინტელიგენტური ტიპიური მერყეობა—ძირითადი მიზეზებია იმისა, რომ ჩინეთის წვრილმა ბურჟუაზიამ ვერ შესძლო და არც შეუძლია უხელმძღვნელოს ჩინეთის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრობას.

ჩინეთის მეურნეობის კაპიტალიზაციამ შეჰქმნა ჩინეთის პროლეტარიატი. პირველად მუშების მოთხოვნილება, რომელიც წამოყენებული იყო ჩინეთის მუშათა და გონკონგის მეზღვაურთა გაფიცვებზე, შემდეგ პეკინ ხანკოუს რკინისგზელთა გაფიცვები 1923 წელში, და ბოლოს, უკანასკნელი გაფიცვები, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ამბებს ცინდაოში და შანხაიში—ყოველივე ეს ხდებოდა წმინდა ეკონომიურ ნიადაგზე, რაც უნდა დაჯახებოდა იმ სისტემას, რომელიც შეჰქმნა კაპიტალიზმმა ჩინეთში შეჭრიდან 80 წლის განმავლობაში.

უცხოელები, რომლებმაც სხვადასხვა ხელშეკრულების გზით მიიღეს „უფლება“ ჰყოლოდათ თავიანთი ჯარები, სასამართლოები, კონცესიები და სხვა ჩინეთის ტერიტორიაზე, განიზრახეს ესარგებლათ თავიანთი უპირატესობით და ჩაეხშოთ ჩინეთის მუშათა მოთხოვნილებები. ამრიგად მუშათა ეკონომიური ბრძოლა ნებსით თუ უნებლიეთ უნდა გადაქცეულიყო პოლიტიკურ ბრძოლად, ბრძოლად იმპერიალიზმის მთელი სისტემის წინააღმდეგ ჩინეთში.

ჩინეთის პროლეტარიატის ინტერესთა და ამოცანების მთლიანობა ნებას აძლევს მას დაიკავოს ხელმძღვანელის ადგილი და გაუძღვეს ჩინეთის მასებს გათავისუფლებისთვის ბრძოლაში.

ამას ამტკიცებს საქმის დღევანდელი ვითარება.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ გაიზარდა მუშათა ეკონომიური ბრძოლა მთელი მასების ბრძოლად იმპერიალისტების ძალაუფლების განადგურებისათვის ჩინეთში. ჩვენ დავინახეთ, რომ მუშათა კლასმა ჩაითრია ბრძოლაში შანხაის, ცინდაოს, ხანკოუს და სხვა ქალაქების მოსახლეობათა ფართე მასები. მაგრამ ჩინეთის პროლეტარიატის წინაშე სდგას კიდევ ბრძოლაში გლეხთა მიზიდვის ამოცანა. მათ აერთიანებს სიღარიბე და ჩაგვრა, რასაც არ იშურავენ მათთვის საერთაშორისო მტაცებლები.

მძიმე და რთულია ჩინეთის პროლეტარიატის ამოცანები, მაგრამ კომპარტიის ძლიერი ხელმძღვანელობა, საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა სოლიდარობა სათანადო დახმარებას გაუწევს მას.

მ. მიდ.

# ცვალებადელთა პირველი დღეები წითელ ყაზარმაში.

## ჩვენი ცვალებადელებიც ამუშავდენ.

**მეხუთე ლეგ. 3 მე ათასეული.**

ცვალებადთა შემადგენლობამ ასი პროცენტით შეავსო ჩვენი ათასეული და ეს მოხდა ერთი დღის 15 ივნისის განმავლობაში. სამი დღის შემდეგ სხვა და სხვა გადაჯგუფებისა და განაწილების შემდეგ დავიწყეთ მათთან მეცადინეობა, რომელიც შეუწყვეტლად მიმდინარეობს, როგორც სამხედრო საქმეში, ისე პოლიტ და კულტსაგანმანათლებლო დარგებში.

ახლად მოსულების ინტერესი მეცადინეობისადმი დიდია. გაცილებით უფრო ჩქარა შეივსებენ ამხანაგები თავის ცოდნას ვინემ ეს ჩვენ გვეგონა. ამის ნიშნები ეხლავეა.

ასეულებში არსდება სხვა და სხვა წრეები, რომლებშიდაც დიდი ხალისით ეწერებიან ახლად მოსულები.

არა ნაკლებად აინტერესებთ ამხანაგებს ლენინის კუთხეები, სადაც ეძლევად საშუალება წაიკითხონ ახალი გაზეთები, მოისმინონ სხვა და სხვა ხასიათის საუბრები და შეიძინონ ის რაც მათთვის საჭირო და აუცილებელია.

სიამოვნებით დაიარებიან ამხანაგები აგრეთვე ასეულებში დაარსებულ სამხედრო კუთხეებში. აქ ისინი ეცნობიან სხვა და სხვა იარაღებს და მათი გამოყენების წესებს.

საერთოდ ჩვენი ცვალებადელები კარგ იმედებს იძლევიან.

სამხკორი წიწაკა.

## სამხედრო-სამეცნიერო წრის მუშაობიდან.

**მეექვსე ტერ-ლეგიონი.**

26 ივნისს შესდგა ხსენებულ ლეგიონში არსებულ სამხედრო სამეცნიერო წრის სხდომა, რომელზედაც შტაბის უფროსის თანაშემწის ამხ. წივწივაძის მიერ გაკეთებულ იქნა მოხსენება.

მომხსენებელს მისცეს აუარებელი შეკითხვები. მათზე პასუხის გაცემამ უფრო დეტალურად გააშუქა თემის შინაარსი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს პირველი მოხსენება პირველი ნაბიჯი იყო ჩვენი სამხედრო-სამეცნიერო წრის მუშაობის, რასაც რა თქმა უნდა, როგორც პირველ დაწყებითი მუშაობას, თავისი ნაკლიც ჰქონდა. სახელდობრ:

1) მსმენელების ყურადღების დატვირთვა აუარებელი ციფრების მოყვანით.

2) რაც მთავარია, როგორც ზოგიერთ ამხანაგებმა აღნიშნეს, გამოტოვება და არაფრის თქმა იმ სახელმწიფოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, რომელზედაც გვქონდა ლაპარაკი.

მომავალში იმედია ჩვენი სამხედრო-სამეცნიერო წრის პრეზიდიუმი გამოასწორებს ამ ნაკლს, თვით გადაამუშავებს რომელიმე თემას და შემდეგ გადასცემს მომხსენებელს, რომელსაც საშუალება მიეცემა თვით მომზადებასთან ერთად სავსებით დააკმაყოფილოს მსმენელთა მოთხოვნილებები.

სამხკორი დამსწრე.

## ჩვენი სპორტწრე.

**3-მე ლეგიონი.**

3-მე ლეგიონის სპორტწრეში გაცხოველებული მუშაობაა, თითქმის ყოველდღე სწარმოებს მეცადინეობა. წრის წევრები ძალიან გულმოდგინეთ ეკიდებიან საქმეს.

ახალ წვეულ წითელ არმიელებიც ნაწილობრივ, ებმებიან მუშაობაში. სამწუხაროდ წრეს ბევრი რამ აკლია ჯერჯერობით. არაა ტანისამოსების საკმაო რიცხვი და დანარჩენ სავარჯიშო იარაღები.

თუ მალე იქნა გამოსწორებული ეს დანაკლისი მაშინ წრე მალე მიაღწევს მიზანს.

ერთი რამ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომელიც გამოსწორებას მოითხოვს. მარტო ფეხბურთაობა არაა საკმარისი, საჭიროა, სწარმოებდეს, ბირთვის ტყორცნა, ხტომა და სხვა.

ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული და წრეც დააკმაყოფილებს ყველას სურვილს.

სამხკორი კაკო.

## გულმოდგინეთ მეცადინეობენ.

**2-რე ტერ-არტლეგიონი.**

ლეგიონში მოსვლისთანავე ცვალებადელებთან ძველმა არმიელებმა გავმართეთ საუბარი. აუხსნიდით ჩვენი ცხოვრების პირობებს, რა შევიძინეთ ყაზარმაში, როგორ გვეპყრობიან უფროსები და მრავალი სხვა. ახლად მოსულები ყურადღებით გვისმენდენ, გვაძლევდენ სხვა და სხვა შეკითხვებს და ცდილობდენ ყველაფერი გაეგოთ და დარწმუნებული ყვენ ჩვენი ნაამბობის სიმართლეში.

ჯგუფებად დანაწილების შემდეგ, ახლად მოსულებმა სერიოზულად მოკიდეს ხელი მეცადინეობას. იშვიათი გულმოდგინეობით უსმენენ მასწავლებლებს, მეთაურებს სამხედრო მეცადინეობის დროს, რის შეთვისებაც ძლიერ უადვილდებათ.

ძველი წითელ არმიელები ხშირად ხუმრობენ ხოლმე—მოგვეჭრა თავი სირცხვილით და ესაა. ჩვენ რასაც ერთი წლის განმავლობაში მოუნდით გვესწავლა, ესენი ერთ თვეში შეითვისებენო.

უსურვოთ ამხანაგებს წარმატებით ემუშაოთ მშრომელი ხალხის სასახელოდ და საკეთილდღეოდ.

წ. არმ. სანდრო ჯავახიშვილი.

## უმოქმედობას ბოლო უნდა მოეღოს.

**2-რე არტ-ტერ. ლეგიონი.**

ჩვენი ლეგიონის სამხკორებმა ამ უკანასკნელ ხანებში სრულიად მიანებეს თავი მუშაობას. ნაწილის ცხოვრება არ შუქდება არც ადგილობრივ კედლის გაზეთში და არც ცენტრალურ ორგანო „წითელ არმიელში". სწორედ ამის გამოა, რომ ორი თვეა, რაც აღარ გამოსულა კედლის გაზეთის მორიგი ნომერი.

ამ ჟამად ლეგიონმა მიიღო ცვალებადელები, რომლებსაც სათანადო ხელმძღვანელობის გაწევა ესაჭიროებათ. მათგანაც უნდა შევქმნათ სამხკორები, დავაინტერესოთ ისინი პრესით და სხვ.

ლეგიონის სამხკორმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას, რომ. შევსძლოთ ნაწილში გამეფებული უმოქმედობის გადალახვა.

საჭიროა მეტი სიფხიზლე და საქმით დაინტერესება.

სამხკორი სკ—ჩა.

## ჩვენი რემედასის საქმიანობა.

**მესამე ლეგიონი.**

შვიდი თვეა რაც ჩვენს ლეგიონში არსებობს რემედასის უჯრედი. მთელი ამ ხნის განმავლობაში უჯრედში სასურველად სწარმოებდა მუშაობა. წევრებად ჩაწერილია ლეგიონის მთელი შემადგენლობა და სისტემატიურად იხდიან საწევრო გადასახადებს.

უჯრედმა ბევრჯერ ჩაატარა კამპანიები რემედასის სასარგებლოდ. მოხსენებები ხშირად იმართებოდა ლეგიონის ყველა ასეულებში. გვქონდა მოწყობილი რვა რემედასის კუთხე. აწნაირად უჯრედი სრულიად ამართლებდა თავის დანიშნულებას. ბანაკში გასვლის შემდეგ უჯრედმა უფრო გააფართოვა თავისი მუშაობა ახალწვეულებში. განზრახულია ასეულების მასშტაბით დაარსებული იქნეს კიდევ ახალი უჯრედები.

მხოლოდ არა გვაქვს სახელმძღვანელო ცირკულიარები მუშაობის საწარმოებლად.

საჭიროა დივიზიამ გადმოგვიგზავნოს ასეთები.

სამხკორი კაკო.

# ნაწილების მუშაობა ბანაკში.

## რად ავიწყდებათ?

**სამხედრო მეთაურთა გაერთ. სკოლა.**

სკოლას ბანაკში თან აქვს საავადმყოფოც, სამწუხაროდ ერთ მოვლენას აქვს აქ ადგილი სადილის განაწილების დროს და ყველაზე უფრო ზიანდებიან ამ შემთხვევაში ავადმყოფი ამხანაგები. თვითონ საავადმყოფოში სადილები არ კეთდება. ასეთები იგზავნება სკოლიდან, მაგრამ ყოველთვის ვარაუდით, რადგან არც ექიმის თანაშემწეები და არც სანიტრები არ იძლევიან ცნობას ავადმყოფ კურსანტთა რაოდენობის შესახებ. (ალბათ ეზარებათ დათვლა). ამის გამო ხშირად ზოგიერთი ავადმყოფი სრულიად უსადილოთ რჩება. შიმშილობს მთელი დღის განმავლობაში.

რად უნდა ხდებოდეს ასე უნცროს მედ. პერსონალის დაუდევრობის გამო. ნუ თუ თავისი ავადმყოფობა არ ყოფნით ამხანაგებს, რომ კიდევ მშიერსაც ვტოვებთ.

უფროსო ექიმო, მიიღე სათანადო ზომები, რომ შემდეგში მაინც არ ექნეს ადგილი ასეთ დაუდევრობას.

ბანაკის მე—ია.

## საჭიროა ერთნაირი წესი.

**პირველი ლეგიონი.**

ბანაკად გასულ ლეგიონის ყველა ასეულებს კარგათ აქვთ დაყენებული სასადილოს საქმე. წითელ არმიელებს ხელზედ არ აქვთ ჯამები და კოვზები. სასადილო მოწყობილია წესიერად. მეორე ასეულში კი ასე არ არის. ჯამები და ყოველგვარი ჭურჭელი ხელზედ გვაქვს დარიგებული. რის გამოც სასადილოში ყოველთვის ირღვევა წესრიგი. ნუ თუ ძნელია ჩვენმა მეთაურებმაც მოგვიწყონ აქ სასადილო ისე, როგორც ბანაკათ გასულ ასეულებს აქვს? მე კარგათ შევნიშნე რომ ერთხელ სამნეო ნაწილის უფროსმა წინადადება მისცა ერთ-ერთ ოცეულის თავს, გამოეყოთ წითელი არმიელი სასადილოს გამგეთ და აქაც შემოეღოთ ლეგიონის საერთო წესი. მაგრამ ოცეულის თავმა „მესმისო", უპასუხა და სასადილო ისევ ძველებურად მოწყობილია.

საჭიროა სამნეო ნაწილის უფროსმა მაინც მოითხოვოს თავის გაცემული ბრძანების შესრულება.

სამხკორი სვანი.

## გავაჩაღეთ ლენინის კუთხეში მეცადინეობა.

**მეოთხე საგაუბიცო ბატარეიაში.**

ჩვენს ბატარეიაში საუცხოვოდ მოვაწყვეთ ლენინის კუთხე. გარეგნულად მორთულობის გარდა, რომელიც ძლიერ იზიდავს არმიელებს, კუთხეში აგრეთვე მოგვეპოვება საჭირო ლიტერატურაც.

კუთხე გადაქცეულია ჩვენი განვითარების ცენტრად ნაწილში. აქ ვატარებთ სისტემატიურად ხმა მაღალ კითხვებს, გაზეთის, ჟურნალების. აქვე მიმდინარეობს სხვა და სხვა ხასიათის საუბრები და განსაკუთრებით საუბრები დიდი ბელადის ლენინის ცხოვრებაზე.

არმიელები დიდათ არიან დაინტერესებული ცოდნის შეძენაში. ყველას სურს რაც შეძლება მეტი ცოდნა შეიძინოს და ისე დაუბრუნდენ თავის სოფლებს, რომ შესძლონ სასოფლო სამეურნეო აღმშენებლობითი საქმიანობაში ჩაბმა და მისი ნაყოფიერი წარმოება.

ასეთი მიზნები გვაერთიანებს ყველას ლენინის კუთხეში.

წ.-არმ. გრ. ბერათაშვილი.

## პირველი ლეგიონი.

**მეორე ასეული.**

მზე ამოეფარა მთაწმინდას.

დასიცხულმა წითელ არმიელებმა გაათავეს მეცადინეობა. სხეული ყველას მოდუნებული აქვს. ჯერ კიდევ არ ქრის საღამოს გრილი ნიავი.

—მოდი გავიქცეთ, რომელმა აჯობოს--ეუბნება ერთი წითელ არმიელი—მეორეს.

—გავიქცეთ—დაეთანხმა ამხანაგი.

გაიქცა ორი. ამათ მიბაძა სხვებმა. გაჩაღდა ექსტაფეტიური სირბილი. ერთ რიგში მწყობრის თავი ჩადგა, მეორეში ასის თავი.

შეხედეთ მეთაურები გარბიან ასტყდა ჟრიამული წითელ-არმიელებში. ასის თავი აჯობებს, ამბობს ერთი.

არა, ჩვენი მწყობრის თავი გაასწრებს.

გაიქცენ. რომელმა აჯობა ვერ გამოარკვიეს. ატყდა ჩოჩქოლი. აი ისევ ჩადგა რიგში მწყობრის თავი.

მოწინააღმდეგეთ მასწავლებელი დაუდგა. ნიზლევ ერთი კოლოფი პაპიროსი დადო. გაიქცენ. არმიელებს არ სურთ რომ მწყობრის თავი დამარცხდეს. მაგრამ, მასწავლებელმა აჯობა.

—ამხ. მასწავლებელო პაპიროსი ჩვენც დაგვალევინე—გაეხუმრა ერთი წითელ არმიელი მასწავლებელს—რომელიც სულს ძლივს იბრუნებდა. შესწყვიტეს სირბილი.

თავისუფალი ვარჯიშია. წითელარმიელები ერთმანეთს დაუჯდენ მუხლებზედ, ხელები წელში ჩაჭიდეს. „ნაბიჯით იარ" გასცა განკარგულება ერთმა. და წყეს მოძრაობა. მაყურებლები იცინიან, თითონაც ვერ იმაგრებენ სიცილს.

ივახშმეს. ისევ მოგროვდენ სავარჯიშო მოედანზედ.

—ჭიდაობაა, გაისმა ვიღაცის ხმა. არმიელებმა იქითკენ მიაშურეს. საღამოს გრილი ნიავი წითელ არმიელებს ახალისებს. გვიან მოგვონდათ ძილი.

სამხკორი ბზიკი.

## პოლიტსკოლის ბიბლიოთეკის საქმიანობიდან.

ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკაში აპრილის თვიდან დავიწყეთ წიგნების ტეხნიკური დამუშავება აუწილად კლასიფიკაციის მიხედვით, რადგან ბიბლიოთეკაში ამ მხრივ წინათ არავითარ მუშაობას ადგილი არ ჰქონია. ეს მუშაობა ეხლაც გრძელდება. ვადგენთ ორგვარ სისტემის კატალოგს—ალფაბიტურსა და სისტემატიურს. (წინათ არც ერთი სახის კატალოგი ბიბლიოთეკას არ ჰქონია). ამას გარდა, ბიბლიოთეკის მთელი ქონება 6.000 ცალი წიგნი და ჟურნალები ყოველგვარ აღრიცხვის გარეშე იყო. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად დაუშვებელი იყო და ამიტომ წიგნების დამუშავებასთან ერთად—ეხლა, პარალელურათ ამისა წარმოებს წიგნების გატარება საინვენტარო დავთარში. წიგნებს, რომ უფრო ადვილად და სისწორით გავერკვეთ რუსულ და ქართულ ლიტერატურის რაოდენობაში, ვწერთ ორ დავთარში—ერთში ქართულს და მეორეში რუსულს... ბიბლიოთეკის მკითხველათ ითვლება სკოლის კურსანტთა და თანამშრომელთა მთელი 100 პროც. გარდა ამისა, ჩვენი ბიბლიოთეკით სარგებლობდა პირველი ლეგიონის წითელ-არმიელები და უფრო—კი, ამავე ლეგიონის უფ-პოლიტშემადგენლობა.

წაკითხულ წიგნთა რაოდენობა თვეში თითო კურსანტზე საშვალოთ მოდის 5 ნახ. წიგნი. აქ მხედველობაში, ცხადია არ არის მიღებული იმ წიგნთა ბრუნვა, რომელიც კურსანტს ეძლევა ბიბლიოთეკიდან—როგორც სახელმძღვანელო.

ტფილისში ყოფნისას სკოლის სამკითხველო წესიერათ ღებულობდა თითქმის ყველა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებსა და აგრეთვე ცენტრისაც, რაც შეეხება ბიბლიოთეკის წიგნებით შევსებას—ეს მეტათ მოიკოჭლებდა მატერიალურ საშვალებათა უქონლობის გამო. ხსენებულ პერიოდის განმავლობაში (ე. ი. აპრილიდან) სკოლამ 1 ქ. მ. დივიზიის ბაზა—კოლექტორიდან მიიღო სულ რაღაც 10—15 წიგნი. ესაა და ეს. ლიტერატურით შევსება ბიბლიოთეკისა მხოლოდ ამით გამოიხატება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ხუთიოდე წიგნს, რომელიც ბიბლიოთეკამ შეიძინა თავისი თანხიდან. ჩვენი წიგნის ბაზა—ყოველდღიურათ ივსება ახალ-ახალ გამოცემებითა და იმ შედარებით უმნიშვნელო თანხით, რაც ბიბლიოთეკას ეძლევა—შეუძლებელი და წარმოუდგენელიცაა — სკოლის მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს.

გრ. შავგულიძე.

## აბა გამოიცანი?

**ამოცანა № 35.**

სამი კაცი შევიდა დუქანში სასადილოთ. მზარეულს შეუკვეთეს მოეხარშა მათთვის კვერცხები და დაიძინეს. ამასობაში მზარეულმა მოხარშა კვერცხები, მოიტანა და დასდო მაგიდაზე. მგზავრებს ისევ ეძინათ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოიღვიძა პირველმა — შესჭამა ყველა კვერცხების მესამედი და ისევ დაიძინა. შემდეგ გამოიღვიძა მეორემ. მან არ იცოდა თუ პირველმა უკვე შესჭამა თავისი წილი და ამიტომ ისიც შეექცა დარჩენილ კვერცხების მესამედს და დაიძინა.

ბოლოს გამოიღვიძა მესამემ. კვერცხები მასაც მოუკლებელი ეგონა. შესჭამა მესამედი და დაიძინა.

დილით რომ გამოიღვიძეს საქმის ვითარება გამოირკვა, მაგრამ მაგიდაზე კიდევ დარჩენილიყო 8 კვერცხი.

რამდენი კვერცხი მიუტანია მზარეულს, და როგორ უნდა გაიყონ მგზავრებმა დარჩენილი კვერცხები?

## უცხოეთის ავიაცია.

**საფრანგეთის ავიაციის გაძლიერება მაროკოში.**

11 საარტილერიო ავიო-რაზმის ორი ესკადრილია 3 ოფიცრის, 19 უნცროს მეთაურების და 60 ჯარისკაცის შემადგენლობით თითეული, ლეიტენანტების დოფანჯსა და ფრანსუას ხელმძღვანელობით გაემართა მაროკოში არაბების წინააღმდეგ მომქმედ საფრანგეთის საჰაერო ძალების დასახმარებლად.

**ფორდი მოქმედებს.**

აპრილში ცნობილმა ფორდის საავტომობილო ქარხანამ პირველად გამოუშვა ლითონისაგან დამზადებული „დირბონის" ტიპის ჰაეროპლანები. ჰაეროპლანები უკვე მოქმედებენ ჩიკაგოსა და დეტროიტის (ამერიკის ქალაქებია) შორის საჰაერო ხაზზე. ხსენებული ტიპის ჰაეროპლანები დამზადებულია 8 მგზავრისათვის.

მთელ მანძილს ამ ქალაქებს შორის (470 კილომეტ.) თვითმფრენი ჰფარავს 2 საათისა და 50 წუთ. განმავლობაში. როგორც თვით გენრი ფორდმა განაცხადა ეს საჰაერო ხაზი მხოლოდ საცდელის ხასიათს ატარებს.

ამერიკის, ინგლისის და სხვა ქვეყნების საავიაციო პრესა დიდი ყურადღებით ეპყრობა ფორდის მოქმედებას და მოელის მომავალში მისი საქმიანობის უფრო გაფართოებას. როგორც ფორდის შვილმა განაცხადა კომპანიას განზრახვა ჰქონია ამ ახლო მომავალში გააჩაღოს ჰაერო პლანების მასიური წარმოება.

**სტუდენტები მფრინავები ინგლისში.**

ინგლისის სამეფო საჰაერო ძალების უფროსმა 29 აპრილს ინახულა კემბრიჯის უნივერსიტეტი. უნივერსიტეტში არსებულ საავიაციო საზოგადოებაში უფროსმა გააკეთა მოხსენება და სხვათა შორის განაცხადა, რომ „საჰაერო სამინისტრომ მიზანშეწონილად სცნო მიავლინოს კემბრიჯის და ოქსფორდის უნივერსიტეტებში, სამეფო საჰაერო ძალებიდან თითო რაზმი, რომელიც სპეციალურად შეასწავლის სტუდენტებს ფრენას"

## „მოუსმინეთ მეორე მხარესაც".

გაზეთ „წითელ არმიელის" № 136 მოთავსებულია ამხ. ტოროლას შენიშვნა „ეს დაუშვებელია"-ს სათაურით, რომელსაც არ შემიძლია არ უპასუხო.

1) 1-ლ ლეგიონის მეორე ათასეულის საალღუმოთ წასვლისას ვაზიანში, ჩემ მიერ მივლენილი იქნა ათასეულში ერთი ექთანაშემწე, რომელიც არ გამოცხადდა და იქნა დაპატიმრებული. ათასეულში კი მივლენილ იქნა მეორე ექთანაშემწე.

წარგზავნილ ექთანაშემწეს მე ჩემი ჯიბიდან მივეცი ხარჯი, რომ მალე დასწეოდა ათასეულს.

ყველა ზემოხსენებულ მოვლენების შესახებ მე პატაკით ვაცნობ ლეგიონის სამხედრო კომისარს.

2) რაც შეეხება ამხ. ტოროლას იმ სიტყვებს ვითომც გზაზე ქონოდა ადგილი ავადმყოფობას წითელ არმიელებში, ეს სიმართლეს მოკლებულია, ვინაიდან ათასეულის გასვლის წინ ლეგიონის ამბულატორიის ექიმის მიერ დატოვებული იქნა ყველა ის არმიელები, რომლებსაც არ შეეძლოთ, ალღუმში მონაწილეობის მიღება.

მთელი ალღუმის პროცესში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ რომელიმე არმიელისათვის საჭირო ყოფილიყო სასწრაფო დახმარება, ან და ევაკუაცია და გოსპიტალში მოთავსება.

რაც შეეხება იმას, რომ ექიმის თანაშემწეს, გარდა იოდისა და ხინისა არა ქონდა რაო, ესეც სიმართლეს მოკლებულია.

ექიმის თანაშემწეს, რომელიც ახლდა ათასეულს ყველაფერი ქონდა. ამის დასამტკიცებლად ლეგიონის აფთიაქში ინახება ყველა საჭირო საბუთები.

3) ლეგიონს ყავს ერთი ორთვალა სანიტარკა, რომელიც ვერ იტანს შორ მანძილზე წარგზავნას. ათასეულს ახლდა საბარგულის ორთვალა, რომელიც გაუწევდა ათასეულს სანიტარულ დახმარებას საჭიროების დროს.

განსაკუთრებული სანიტარკა ამისთვის არ ყავს ლეგიონს ეს საერთო მოვლენაა და სრულიად არ შეეხება სან-ნაწილს.

4) მე ზემოდ აღვნიშნე, რომ ავადმყოფობას ადგილი არ ქონდათქო ათასეულში. და თუ მართლა ადგილი ქონოდა, ასეთს მათი მოთავსება პირიქით შეიძლებოდა იქვევაზიანის შეერთებული ქსენონში, სადაც სან-ნაწილს განაგებს ბანაკის უფ-ექიმი და ყველა ავადმყოფებისათვის ქსენონის კარი ღიაა, არავის არ აქვს უფლება მძიმე ავადმყოფები ქალაქში გადმოგზავნონ უფ-ექიმის ნება დაურთველად. თუ წამლები გამოელია ექ-თანაშემწეს მას უზრუნველყოფდა ამ მხრივ ბანაკის ექიმი.

დასასრულ მინდა შევნიშნო ამხ. ტოროლას, რომ ასეთი უსაფუძვლო შენიშვნებით გამოსვლა პრესაში და ტყუილ უბრალოდ უდანაშაულო პიროვნებისათვის ჩირქის მოცხება არ შეეფერება სამხედროს, რომელიც სიმართლის ერთგული დარაჯი უნდა იყოს.

1-ლ ლეგიონის უფ-ექიმი

ლუგოვოი.

## ჭლექის სამდღიურის გამო.

ტფილისში დიდი მოთხოვნილებაა ტუბერკულიოზის დისპანსერებზე (საავათმყოფოებზე), მაგრამ მათ დასაარსებლათ საჭიროა დიდი თანხა. აღნიშნულ დისპანსერებს უაღრესი მნიშვნელობა აქვთ აღნიშნულ სენთან საბრძოლველათ.

ვერც ჯანმრთელობის განყოფილების ბიუჯეტზე და არც სხვა მხრივ არ არის შესაძლებლობა დისპანსერების გასახსნელათ საჭირო ხარჯების დაკისრება. აქ საჭიროა უსათუოდ რომ თვით მოსახლეობა დაეხმაროს ხელისუფლებას და ამ მიზნით ეწყობა ყულაბებით ფულის შეგროვება. ეს ფულის შეგროვება უკვე სწარმოებს ქალაქის ქუჩებში და უნდა ვიფიქროთ, რომ მოსახლეობა შეგნებით შეხვდება ამ ჭლექის სამ დღიურს და შედეგათ უნდა ველოდეთ დაახლოებით 10 ათას მანეთს. მაგრამ შესაძლებელია შეგროვებამ საგრძნობლათ გადააჭარბოს მოსალოდნელ თანხას და შედეგათ ტფილისსაც ექნება, რამოდენიმე ჭლექის დისპანსერი.

მაშინ ქალაქის მშრომელ ნაწილს მიეცემა საშუალება გაუადვილდეს ჭლექთან ბრძოლის საქმე და უფრო ადვილათ დაიცვას თავი კაცობრიობის ამ დიდი მტერი—ჭლექისაგან.

## ამბები სოფლებიდან.

**აგარაკი სვანეთში.**

სვანეთის და ლეჩხუმის აღმასკომები შეუდგნენ სოფ. ლაშხეთის, აგარაკ „მუაშის" კეთილ მოწყობას, გაყავთ ახალი გზები და აგებენ შენობებს.

**აღმასკომის შენობის შეკეთება.**

ძველი ონის (რაჭა) თემაღმასკომის შენობის შესაკეთებლათ სამაზრო აღმასკომმა უფასოთ გასცა ტყის მასალა.

**ფოსტის შენობების შეკეთება.**

სოფ. წესისა და სადმელის აღმასკომებმა დაადგინეს საკუთარი ღონისძიებებით შეაკეთონ ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის შენობები.

**მოძრავი პოლიტსკოლები.**

ლეჩხუმში არსდება პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს მიერ მოძრავი პოლიტსკოლები.

**საქონლის ჭირი ბორჩალოში.**

მიწად.-მოქ. კომისარიატის ცნობით ბორჩალოს მაზრის ორ სოფელში. ორმუთლოში და ბეზაკლოში გაჩნდა საქონლის ჭირი.

## ახალი ამბები.

— **ცვალებადელებში წერა-კითხვის უცოდინარობასთან** ბრძოლის მიზნით უკვე გამოძნახულია ადგილებზე სასკოლო შენობები.

— **მუშების მომატება ტრამვაიზე.** 1924 წლის სექტემბრიდან ამა წლის ივნისამდე ტრამვაიზე მომუშავე მუშათა რიცხვი გაზრდილა 500 კაცით.

— **მეფუტკრეობა.** მეფუტკრეობის ბიურომ ქუთაისში გახსნა მეფუტკრეობის კურსები.

— **საქონლის შემოტანა საზღვარ-გარეთიდან.** მაისის განმავლობაში საზღვარ-გარეთიდან შემოტანილია ბათომის ნავთსადგურით 478.320 ფუთი საქონელი.

— **საჰაერო ფოსტის საბჭოთა** კავშირიდან საჰაერო ფოსტის გატანაზე საპაეო კონტროლის ადგილათ დანიშნულია მოსკოვი.

— **წყალსადენის გაყვანა** თითეულ კერძო ბინაზე აქ ქამად ჯდება 60-65 მანეთი.

— **წყალი საკმარისია.** უკანასკნელი ცნობებით ქალაქი წყალს მთელი იმ რაოდენობით, რასაც აწვდის მას ავჭალის წყალსადენი ვერ ხმარობს. ყოველ დღე და ღამეში წყლის სათადარიგო აუზებში რჩება 300—400 ათასი ვედრო წყალი.

— **საფოსტო დამოკიდებულება ბრაზილიასთან.** ფ.-ტელეგ. სახ. კომის. ცნობით საფოსტო კავშირი უკვე აღდგენილია ბრაზილიასთანაც (სამხრ. ამერიკა).

## პასუხი შეკითხვაზე.

**წ. არმიელ გრიგოლ ლოცაბიძეს.** თქვენი საკითხის გასარკვევად ლეგიონის სამხკომმა უნდა მიწეროს ადგილობრივ აღმასკომს თუ რისთვის ჩამოგერთვათ თქვენ მიწა და მოგეცათ თუ არა სამაგიერო და სად.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**ტემპერატურა მარსზე.**

გასული წლის პლანეტა მარსის მოახლოების დროს დედამიწასთან, ამერიკის მთელ რიგ ობსერვატორიებმა სცადეს გამოერკვიათ საერთოდ მარსზე არსებული ტემპერატურა და შემდეგ კი მისი სხვა და სხვა ნაწილებისაც. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნა უზუსტესი და მეტად გაუმჯობესებული იარაღები, რომლებიც უშვებდა მარსის ზედაპირიდან არეკილ მზის სხივების სინათლეს და აკავებდა პლანეტის საკუთარ სხივმფინაობას.

ასეთი საშვალებით მიღებული გამოკვლევები მართალია არ გვაძლევენ სწორ ცნობებს, მაგრამ საგრძნობლად უახლოვდებიან კი სინამდვილეს.

ეკვატორის რაიონებში მარსის ტემპერატურა ამ გამოკვლევების თანახმად გაცილებით უფრო დაბალია დედამიწის ეკვატორის რაიონებში არსებულ ტემპერატურაზე, მაგრამ ეს განსხვავება პოლიარულ მხარეებთან მიახლოვებით თანდათან მცირდება.

ამერიკის გამოჩენილი ასტრონომი ვემბლენი, რომელიც ახდენდა დაკვირვებებს ცნობილ ლოუელის ობსერვატორიიდან ამბობს, რომ მარსის ეკვატორიალური ტემპერატურა ცელსით უდრის +7-დან +18-დეო. პოლიუსებზე ტემპერატურა აღწევს—70 გრადუსამდე. ასეთი ტემპერატურის პირობებში ეჭვიც არ შეიძლება შევიტანოთ იმაში, რომ მარსზე შეუძლებელი იყოს ცხოვრება და ცოცხალი ორგანიზმების არსებობა. ასევე შეიძლება ითქვას, რომ მარსს გარს აკრავს საკმაოდ სქელი 80—120 კილომეტრის სიმაღლის ატმოსფერის—ჰაერის ფენა.

ეს გარემოება სრულიად აბათილებს მეორე ამერიკელ ასტრონომ ნიკელსონის დასკვნებს თითქოს მარსის ეკვატორიალურ ქვეყნებში არსებობდეს 12 გრადუსი სიცივე ნულს ქვევით.

**უდიდესი ტეხნიკური მუზეუმი.**

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გერმანიაში გაიხსნა უდიდესი ტეხნიკური მუზეუმი. თავისი იდებით და განზრახვით მუზეუმი უნდა შეიცავდეს და აერთიანებდეს ტეხნიკის მიღწევებს კაცობრიობის ისტორიის მთელ სიგრძეზე.

ასეთი ხასიათის მუზეუმები მხოლოდ სამია მთელ მსოფლიოში: ერთი ინგლისში, მეორე საფრანგეთში და მესამე გერმანიაში ქ. მიუნხენში. თუ რამდენად დიდი იქნება გერმანიაში გახსნილი ტეხნიკური მუზეუმი სჩანს შემდეგიდან: რომ შამოიაროთ მუზეუმის ყველა დარბაზები მოგიხდებათ 16 კილომეტრი მანძილის გავლა და სამი საათი დრო. მუზეუმში ყველაფერია თუ რამე გაკეთებულა ტეხნიკაში—დაწყებული პირველყოფილი იარაღებიდან გათავებული თანამედროვე უდიდესი მიღწევებით—მანქანები, შენობები, ნედლი მასალის დამზადება—გადამუშავება. ყველა მანქანები თითოს ერთი დაჭერით შეუძლია აამუშაოს მნახველმა და ნახოს მათი მუშაობა, მხოლოდ საჭიროა სამ—სამი წუთის გადადება ამისთვის.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

## განცხადებები

### ვის აქვს საწინააღმდეგო.

1-ლი ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანული აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) თავართქილაძე თედორეს და 2) მიტელ-მაიერი ანდროს.

ამავე კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომ-პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) ჯოხაძე ივანეს მცხოვრები ქუთაისის მაზრის სოფელ ნასახულევის, 2) კენჭაძე ანტონს მცხოვრები ქ. ტფილისში სოფ. მამუკას. 3) ჩიჩუა კალისტრატეს მცოვრები ოზურგეთის მაზრის სოფ. სამებაში. 4. თოხაძე ივანეს მცხოვრები ოზურგეთის მაზრის სოფ. ვანის.

ვისაც რაიმე საწინაალმდეგო აქვს დასახელებელი ამხანაგების პარტიაში და პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობონ 10 დღის განმავლობაში შემდეგი მისამართით:

**1-ლი ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში.**

1-ლ. ქართ. მსრ. ლეგიონის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ-პარტიაში კანდიდატებად შემოსვლის შესახებ ჩვენი სკოლის შემდეგ წ. მოლაშქრეებს: 1. სიდამონიძე იასონ (ა. ლ. კ. კ. წ.), 2. დიდებაშვილი იასონ (უპარტიო), 3. მენაბდე ვასილი (ალ. კ. კ. წ.), 4. ჯაფარიძე პავლე (უპარტიო) 5. ბეროზაშვილი იოსები (ახ. ლ. კ. კ. წ.) 6. კოკაია გრიგოლი (უპარტიო) 7. ინაშვილი ნიკოლოზი (უპარტიო) 8. გუჯაბიძე დავითი (უპარტიო) 9. ბედოევი ნიკოლოზი (უპარტიო). გთხოვთ თუ ვისმეს გაქვს რაიმე საწინაამღდეგო ხსენებულ პირების შესახებ გვაცნობეთ წერილობით ან სიტყვით 27 ივნისამდე შემდეგი მისამართით:

**ქ. თბილისი 1-ლი ქართული მსროლელი ლეგიონის სკოლის კომ-უჯრედს.**